შპს ზომა ჯორჯია

ს.კ. 406413554

შპს ზომა ჯორჯია

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

(31 დეკემბრის მდგომარეობით)

ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

1 ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს „ზომა ჯორჯია“-ს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინასნური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს-ის) შესაბამისად 2024 წლის 31დეკემბრის დასრულებული წლისთვის.

შპს „ზომა ჯორჯია “ დაარსდა ქ.თბილისში, 2023 წლის 20 აპრილს კომპანიის 100%-იანი წლის მფლობელია ვლადიმერ ჭელიძე პ.ნ. 62001005010
ხელმძღვანელობა
წარმომადგენლობა დირექტორი
– ვლადიმერ ჭელიძე

კომპანიის ძირითად საქმიანობას 2024 წლის 31დეკემბრის ჩათვლით
წარმოადგენს: საყოფაცხოვრებო და სანიტარყლი-ჰიგიენური
დანიშნულების ქაღალდის ნაწარმის წარმოება, საპნის და სარეცხი
საშუალებების, საწმენდი და საპრიალებელი საშუალებების წარმოება

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი , მთაწმინდის რაიონი ჩიტაძის ქ. №6

2 შედგენის საფუძველი

2.1 1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) ბუღალტრული აღრიცხვის, ანგრიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად .

2.2 გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში, რადგანაც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ასეთი წარდგენა არის უფრო გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებელთათვის.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების “ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების” შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომელიც გავლენას ახდენს წარმოდგენილი აქტივებისა და პასივების ანგარიშგებაზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე შემოსავლებზე და ხარჯებზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის, ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8068 ლარს და ევრო 2.9306 ლარს (2023 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6894 ლარი და 2.9753 ევრო). არაფულადი ერთეულები არაა გადაანგარიშებული პერიოდის ბოლო კურსით და მისი აღრიცხვა ხდება ისტორიული ღირებულების საფუძველზე (აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული კურსით).

საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაანგარიშებით მოგება-ზარალის ანგარიშში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკ- ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში.

3.3 არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილი თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ლიცენზიებზე და პროგრამულ უზრუნველყოფაზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით - წლის გაანგარიშებით.

3.4 კაპიტალი

კომპანიის მიერ გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტები აღირიცხება, მიღებული შემოსავლით.

აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალებს.

3.5 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მოგების გადასახადში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან

საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ

შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით,

მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც

არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).. ამ შემთხვევაში
მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

გადავადებული გადასახადი 2017 წლის 1 იანვრამდე

გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი
გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (სხვა ვიდრე ბიზნეს კომბინაცია), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი,
რომ კომპანია მიირებს იმდენ დასაბეგრ მოგება, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება.

გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ დადგენილი იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან

ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

3.6 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის მიერ გაკეთებული ფასდაკლებები და ფასდათმობები.

კომპანიის შემოსავალი მცირდება მოსალოდნელი დაბრუნებებისგან, ფასდაკლებებისგან და სხვა დათმობებისგან.

რეალიზაცია

შემოსავალი შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კოპანიამ მიაწოდა მყიდველს მომსახურება;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- შესაძლოა, რომ ტრანზაქციათან დაკავშირებული ეკონომიკური მოგება ასოცირებული იყოს კომპანიასთან;
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული

შპს ზომა ჯორჯია ს/კ 406413554
ფორმა N:1 ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	0	44
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	891805	1117131
მარაგები	913410	875715
სხვა	913410	875715
ძირითადი საშუალებები	2002574	1645105
სულ აქტივები	3807789	3637995
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	3983685	4162489
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	8493	10983
სულ ვალდებულებები	3992178	4173472
საკუთარი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-184389	-535477
სულ საკუთარი კაპიტალი	-184389	-535477
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3807789	3637995
სულ მოკლევადიანი აქტივები	0	1992846

ფორმა N:2 საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	11270981	6836920
საქონლის გაყიდვიდან	11270981	6836920
გაყიდვების თვითღირებულება	-9430775	-6640635
საერთო მოგება	1840206	196285
დასაქმებულთა ანაზღაურება	-308944	-113846
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-347121	-108422
იჯარის ხარჯი	-378724	-90661
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-279002	-140084
სულ საოპერაციო ხარჯები	-1313791	-453013
საოპერაციო მოგება	526415	-256728
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-154064	-250565
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	372351	-507293
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	372351	-507293
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	372351	-507293
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-535477	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-21263	-28184
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-184389	-535477

საქართველო, შპს ზომა ჯორჯია
ZOMA GEORGIA